KA030178237494319

№ 01-14351 **05 / აგვისტო / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს, ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
კახაბერ ძიმისტარიშვილის

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

შიდა აუდიტის დეპარტამენტში შემოსული, მოქალაქე მარგალიტა მამულაშვილის განცხადების (N100516, 16.07.2019წ.) თაობაზე, რომელიც შეეხებოდა განმცხადებლის საცხოვრებელი სახლის (მისამართი: ქ.თბილისი, ე.ბეჟანაშვილის ქუჩა, მე-2 გასასვლელი, N15) „გვერდზე ოთახებში, მღებრიშვილების საცხოვრებელ სახლში“ ნარკოტიკული საშუალებების წარმოებას, მოგახსენებთ შემდეგს:

თქვენი დავალების შესაბამისად, შიდა აუდიტის დეპარტამენტმა განახორციელა კონტროლი ზემოაღნიშნული განცხადების განხილვაზე. როგორც გაირკვა, მოქალაქე მარგალიტა მამულაშვილმა სამინისტროს ანალოგიური შინაარსის პირველი, № 119563 განცხადებით (სულ, სამინისტროს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულია ერთი და იმავე შინაარსის 5 განცხადება), მომართა 2018 წლის 8 ნოემბერს. სავარაუდო უკანონო ფარმაცევტული საქმიანობის ფაქტის გამოვლენის მიზნით, სსიპ-სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს კომისია, 2018 წლის 12 ნოემბერს გამოცხადდა ზემოაღნიშნულ მისამართზე. დადგინდა, რომ ქ. თბილისი, ე.ბეჟანაშვილის ქუჩა, მე-2 გასასვლელი, N15-ში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, განთავსებულია მხოლოდ საცხოვრებელი სახლები. ასევე, სააგენტოს „ფარმაცევტული რეალიზატორების რეესტრის“ მონაცემებით, აღნიშნულ მისამართზე, ფარმაცევტული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის (მ.შ. ფარმაცევტული წარმოების ავტორიზებული აფთიაქის ნებართვის მფლობელი) არსებობის ფაქტი არ ფიქსირდება.

იმის გათვალისწინებით, რომ „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში ნარკოტიკული საშუალების წარმოება აკრძალულია, სსიპ-სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ, მოქალაქის ზემოაღნიშნული განცხადება და ინსპექტირების შედეგები, შემდგომი რეაგირების მიზნით, 2018 წლის 13 ნოემბერს, გადაუგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, N02/60916 წერილით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2019 წლის 16 ივლისს, სამინისტროში კვლავ შემოვიდა ანალოგიური შინაარსის N100516 განცხადება, რომელიც სსიპ-წამლის სააგენტომ (სსიპ-სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფლებამონაცვლე), 2018 წლის13 ნოემბრის N02/60916 წერილზე დასართავად, შემდგომი რეაგირების მიზნით, კვლავ გადაუგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რის თაობაზეც, ასევე, აცნობა მოქალაქეს.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

კახაბერ ძიმისტარიშვილი